ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №21

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

გამარტივებული შესყიდვა

სამუშაოს შესყიდვა

ქ. ზესტაფონი 08 სექტემბერი, 2015 წ.

ერთის მხრივ სსიპ ქალაქ ზესტაფონის, №3 საჯარო სკოლის დირექტორი თეიმურაზ ქურციკიძე (მისამართი ზესტაფონი, ნ. ნიკოლაძის ქუჩა №8(შემდგომში შემსყიდველი) და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „საპოვნელა+" დირექტორის პავლე გეწაძის სახით (მისამართი ზესტაფონი, აღმაშენებლის ქუჩა №85 (შემდგომში – მიმწოდებელი) ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულების შემდეგზე:

1. *ხელშეკრულების საგანი*

ხელშეკრულების საგანია სამუშაოს შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად

2. *შესყიდვის ობიექტი*

2.1 სსიპ ქ.ზესტაფონის №3 საჯარო სკოლის ეზოს სარეაბილიტაციო სამუშაოები (დანართი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად)

3. *ხელშეკრულების საერთო ღირებულება*

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 2970.00 (ორი ათას ცხრაას სამოცდაათი)

4. შზარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულება 2015 წლის 15 სექტემბრამდე
ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;
გ) ხელი შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების განხორციელებისას;
ზ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 **შემსყიდველი ვალდებულია:**

ა) უზრუნველყოს ობიექტის მზადყოფნა სამუშაოების დასაწყებად;
ბ) უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოს ინსპექტირება და დადებითი შეფასების შემთხვევაში მისი მიღება;
გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. განხორციელებული სამუშაოების ხარისხი და გარანტია.

5.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დაკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.
5.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი და მიწოდების ადგილი

6.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, მათ შორის სამუშაოების ხარისხის პერიოდული კონტროლი.

6.2 სამუშაოს მიწოდების ადგილი ზესტაფონი, ნ. ნიკოლაძის ქუჩა №8

7. სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესრულებული სამუშაოს მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით. მასზეა უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელის მოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის დადებითი დასკვნისა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფორმა №2-ის საფუძველზე

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი;

8.2 ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.3 ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მიხედვით შესაბამისი, მიღება ჩაბარების აქტისა გაფორმების შემდეგ არაუმეტეს 10 საბანკო დღის ვადაში.

8.4. თუ ანგარიშსწორება უნდა შესრულდეს განსაზღვრულ დღეს და ეს დღე არ ანგარიშსწორების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს.

9. ხელშეკრულების შესრულების შეჩერება

9.1. თუ ხელშეკრულების მოქმედების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზის შესახებ. შეტყობინების მიღებიდან მხარემ 3 დღე ში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-12 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების გათვალისწინებული პირობების დარღვევისათვის დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

10.2 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

11.2 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

11.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ანთავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისგან.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

12.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

13. დავების გადაწყვეტა

13.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოჩენილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ საფუძველზე შეთანხმებით მოკვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ამ დოკუმენტის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2015 წლის 25 სექტემბრის ჩათვლით

15. ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს სავალდებულო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი საგარაუდო ალმოფხვრის ვადის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. სხვა პირობები

16.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
16.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
163. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
16.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმით იქნება შედგენილი და ხელმოწერილი მხარეების მიერ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

17. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მომწოდებელი
სსიპ ქ ზესტაფონის №3 საჯარო სკოლა	შპს. [illegible]
დირექტორი თეიმურაზ ქურციკიძე	დირექტორი [illegible]
სს „თიბისი ბანკი"	სს. ბანკი რუსთაველი
ბანკის კოდი TBCBGE22	ბ/კ REPLGE22
ა/ა # GE72TB7222636180100003	ა./ა № GE14BR0000010347466340
ს/კოდი: 230053722	ს/კოდი № 230085305
მისამართი: ქ. ზესტაფონი, ნ. ნიკოლაძის ქუჩა #8	მის ზესტაფონი, აღმაშენებლის ქუჩა #85
ტელ:0492252958	ტელ:599086744